თბილისის არქიტექტურა

ზონალური საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №703971

განაცხადი №AR1133778

თარიღი : 24.05.2013

განმცხადებელი: ლაშა სიგუა პ/ნ: 01024016381

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , მუხიანის საცხოვრებელი რაიონი, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართ სადგურ "მუხიანი"-ს მიმდებარედ.;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

კომისიის წევრი: თანხმობა

- პარკინგის უზრუნველყოფით.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- გასათვალისწინებელია პარკინგი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის მისაღები.

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- პარკინგის უზრუნველყოფით.

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 29.05.2013

კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

.

ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №21

ქ. თბილისი

29 მაისი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი მდივანი — ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, გიორგი ჩაჩანიძე, დავით მახარობლიშვილი, გია აბულაძე, დავით აბულაძე.

მოწვეულები: მ. ბოლქვაძე, ლ. ჩიქოვანი, ლ. ყავლაშვილი, თ. ჯაფარიძე, კ. ამირეჯიბი, მ. ლომიძე, გ. გოცირიძე, ო. ჯაფარიძე, მ. ბოლქვაძე, ნ. დვალიშვილი, მ. მარძიკაშვილი, გ. ბენდელიანი, რ. ბაკურაძე, ლ. ოქროპირიძე, გ. მონიავა, დ. ჯაოშვილი, გ. ბენდელიანი, ირ. გოგოხია, ნ. კოჭლამაზაშვილი, ი. გეფერიძე, კ. არაბიძე, ე. თოფურია, გ. ავალიშვილი, გ. ხვიჩია, ზ. მაისურაძე, ლ. ჩხაიძე, ო. მარღანია, მ. კურცხალია, ლ. გიორგობიანი, ლ. შაბულაშვილი, კ. უკლება, ვ. აბრამიშვილი, კ. ჯაფარიძე, ვ. მღებრიშვილი, ი. ალავერდაშვილი, დ. ღუდუშაური, დ. ბახტაძე, რ. ქეშელაშვილი, მ. ხომერიკი, ლ. ძამაშვილი, ლ. სანიკიძე, ნ. ქოიავა, ს. დიდია, ირ. გოგრიჭიანი, დ. მესხი, თ. ჯელაძე, ივ. მიჩიტაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

14. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლევანდოვსკის ქ. №21, ვაზისუბნის ქ. №58-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.025.025) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და ახალი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ი. გეფერიძე).

15. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართი სადგური "მუხიანი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.185) საზოგადოებრივი ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კ. არაბიძე).

16. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, I კვარტალის №8 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.27.002.039) არსებულ შენობაზე მიშენება–დაშენების (მრავალფუნქციური, საოფისე, კომერციული) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ე. თოფურია).

17. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლვოვის ქ. №95-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გ. ავალიშვილი, გ. ხვიჩია).

18. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მუხაძის ქ. №26-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამსართულიანი ავარიული შენობის ნაცვლად მრავალსართულიანი მულტიფუნქციური ნაგებობის (საცხოვრებელი) განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ზ. მაისურაძე).

19. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, საბადურის ქ. №20/7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სავაჭრო-საოფისე საცხოვრებელი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ლ. ჩხაიძე, ო. მარღანია).

- არ არის მისაღები. წარმოსადგენია ესკიზური პროექტი.
- მისაღებია.
- მისაღებია.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გვაზაურის II გასასვლელის №23ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.09.021.141) არსებული შენობის დემონტაჟისა და ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: მომხრე: 4, წინააღმდეგი: 3.

14. ი. გეფერიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლევანდოვსკის ქ. №21, ვაზისუბნის ქ. №58-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.025.025) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და ახალი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ი. გეფერიძე. AR 1133426
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=1,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8 კ2=1,8.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. წარმოსადგენია ესკიზური მასალა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია ესკიზური პროექტი და ფოტომონტაჟი არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია ესკიზი.
- არ არის მისაღები. წარმოადგინოს ესკიზური ვარიანტი, რის შემდგომაც შეიძლება განხილვა.
- არ არის მისაღები. წარმოსადგენია ესკიზი.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლევანდოვსკის ქ. №21, ვაზისუბნის ქ. №58-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.025.025) არსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟისა და ახალი ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

15. კ. არაბიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართი სადგური "მუხიანი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.185) საზოგადოებრივი ობიექტის განთავსების

მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. სიგუა. AR 1133778
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,7.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია პარკინგის უზრუნველყოფით.
- მისაღებია პარკინგის უზრუნველყოფით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია. გასათვალისწინებელია პარკინგი, წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის მისაღები.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართი სადგური "მუხიანი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.185) საზოგადოებრივი ობიექტის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,9.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

16. ე. თოფურიას ინფორმაცია ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება, I კვარტალის №8 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.27.002.039) არსებულ შენობაზე მიშენება–დაშენების (მრავალფუნქციური, საოფისე, კომერციული) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ე. თოფურია. AR 1131199
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კეკელიძის ქუჩის მარჯვენა მხარეს ვარაზის ხევში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: № 01.15.03.006.005) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე  კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი  ლევან გეგეშიძე

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1117

„ 3 " ივნისი 2013 წ.

ქ.თბილისში, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართი სადგური "მუხიანი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.185), საზოგადოებრივი ობიექტის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 29 მაისის სხდომის №21 ოქმის შესაბამისად:

1.ქ. თბილისში, მუხიანის საცხოვრებელ რაიონში, გლდანიდან ასასვლელი გზის მარცხენა მხარეს, ავტოგასამართი სადგური "მუხიანი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.185), საზოგადოებრივი ობიექტის განსათავსებლად. განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ1=0,9.

2.დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

3.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 170, ფაქსი: (+995 32) 23 78 200

ქ.თბილისში, ქუჩა ალეკო გობრონიძე, #10/ დასახლება მუხიანი, ავტოგასამართ “ვისოლის” მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104) მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტის -კ1 დასაბუთება

პროექტის ავტორი: რ. ტყემალაძე

სიტუაციური რუკა



საკვლევი ტერიტორიის მისამართი წითელი ხაზები,ტერიტორიის ფართობი



მისამართი: ქუჩა ალეკო გობრონიძე, #10/ დასახლება მუხიანი, ავტოგასამაღთ "ვისოლის" მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104)

მიწის ნაკვეთის საზღვრები

ფართობი – 824 კვ.მ

საკვლევი ტერიტორიის ფუნქციური ზონირება



საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საკადასტრო ერთეულები



საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ განაშენიანება



განმარტებიტი ბართი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ.თბილისში , ქუჩა ალეკო გობრონიძე, #10/ დასახლება მუხიანი, ავტოგასამართ “ვისოლის” მიმდებარედ (ნაკვეთი 02/104). წარმოდგენილ ტერიტორიაზე სპეციალური ზონალური შეთანხმების #393 (14.03.13.) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა (კ1-0.9)-ით ს.კ #01.11.13.002.185 . რის შემდეგაც მიწის ნაკვეთს მოემატა ფართობი და 800კვ.მ ნაცხლად გახდა 824კვ.მ შესაბამისად შეიცვალა საკადასრტო კოდი # 01.11.13.002.238.

გთხოვთ განკარგულებაში შეიტანოთ ცვლილება და დაგვიფიქსიროთ (კ1-0.9) ახალი საკადასტრო ერთეულზე 01.11.13.002.238

ძველი საკადასტრო გეგმა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.11.13.002.185*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: *882013208113*
მიწის ნაკვეთის ფართობი: *800* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი *15.05.13*



01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა	ვალდებულება	ხაზობრივი ნაგებობა	(საერთაშორისო) სისტემის კოორდ. UTM
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	მშენებარე ნაგებობა	მიწისქვეშა ნაგებობა	

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზისხ. ჩხეიძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 08 41
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ი. აბაშიძეების გამზ. 89/24 ტელ: (995 32) 94 18 15

www.napr.gov.ge

ახალი საკადასტრო გეგმა

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.11.13.002.238**
განცხადების ნომერი: **882017371580**
მომზადების თარიღი: **05/05/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **824 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		ხაზობრივი ნაგებობა	ტყის ფონდი
05/25 შენობა/ნაგებობა	05/25	მშენებარე ნაგებობა	ვალდებულება

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო: თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზისხ. ჩხეიძის ქ. 2; ტელ: (995 32) 91 04 27;

http://napr.gov.ge

მიმდებარე სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათების ფოტოფიქსაციის ადგილები



არსებული ფოტოები





http://notary.naprvpn/notary/CoverPage.do?...

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42003312686717

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170100863

რეგისტრაციის თარიღი

01.02.2017 წ

ნოტარიუსი: სალომე სალუქვაძე
მისამართი: ქ. თბილისი, დედაენის პარკის ტერიტორია (ნაკვ. 03/003)
ტელეფონი: 597999990

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის პირველ თებერვალს, მე- სალომე სალუქვაძეს, ნოტარიუსს საქართველოში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქალაქ თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე მდებარე ოფისცენტრის მეორე სართულზე, მომმართეს ბატონმა გიორგი გიორგოშიანმა, პირადი № 01022003096 და ქალბატონმა ნათია გიორგოშიანმა, პირადი №01023013302

მათ განაცხადეს, რომ სურთ გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭონ ქალბატონ ნინო ზარიძეს, პირადი № 01030028697.

მოითხოვეს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. განუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, მათ შორის ის გარემოება, რომ მათ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გააუქმონ ეს მინდობილობა. რომ ამ მინდობილობის გაცემით, რწმუნებული უფლებამოსილია სრულად განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები.

მინდობილობის ტექსტი მარწმუნებლებმა წაიკითხეს ჩემი თანდასწრებით და განაცხადეს, რომ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება სრულად ასახავს მათ სურვილს და ხელი მოაწერეს მას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მინდობილობა

ორიათას ჩვიდმეტი წლის პირველ თებერვალს,

ბატონმა გიორგი გიორგოშიანმა, დაბ. 1974 წლის 12.12. პირადი № 01022003096

და ქალბატონმა ნათია გიორგოშიანმა, დაბ. 1972 წლის 16.10. პირადი №01023013302, შემდგომში "მარწმუნებელი",

ქალბატონ ნინო ზარიძეს, დაბ. 1974 წლის 06.01. პირადი № 01030028697, შემდგომში "რწმუნებული",

მიანიჭეს უფლებამოსილება:

რწმუნებული იცავს მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის: საკონსტიტუციო, რაიონული, საქალაქო, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში და არბიტრაჟში, იურიდიული დახმარების საკითხთა, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა სამინისტროებში და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან, მათ შორის: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, სსიპ საჯარიულის სახ. ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, პოლიციაში, შეიარაღებული ძალების სამსახურში, შეიარაღებული ძალების სააგენტოში სახელმწიფო რესურსების განვითარების სააგენტოში, შემოსავლების სამსახურში, სახელმწიფო ხაზინაში და სხვა/ პროკურატურაში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციასთან და დაწესებულებასთან, სახელმწიფო არქივებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მუნიციპალიტეტთან, საკრებულოსთან, მერიასთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში და განახორციელებს წინამდებარე რწმუნებით განსაზღვრულ საქმისწარმოებას.

რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლების სახელით განახორციელოს:

წარმომადგენლობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, საქალაქო რეესტრის, საჯარო რეესტრის, ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურულ, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში, სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებისას, ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის

ქუჩა №10-ში, საკადასტრო კოდი 01.11.13.002.185 მიწის ნაკვეთზე, აგრეთვე 01.11.13.002.185.001.500 და 01.11.13.002.185.001.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე. მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან გაერთიანება, წინამდებარე რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილების გავრცელება მიწის ნაკვეთების გაერთიანებით მიღებულ ახალ საკადასტრო ერთეულზე.

მშენებლობის განხორციელების მიზნით მიმართოს შესაბამის სამსახურებს, განახორციელოს დოკუმენტების შევსება, ატვირთვა მერიის ელექტრონულ საიტზე, არქიტექტონიკა-საშენებლო პროექტის, შეთანხმებული დოკუმენტაციისა და მშენებლობის ნებართვის მიღება, მშენებლობის განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში არსებული პროექტის კორექტირება, ხელის მოწერა საჭირო დოკუმენტებზე.

რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან და შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების, ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით. ფართების განშლა, გაძიჯნვა, გაყოფა, გაერთიანება, მხოლოდ 01.11.13.002.185.001.500 და 01.11.13.002.185.001.501 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების ფართობის შემცირების გარეშე. განშლის დროს აღნიშნული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ფართის მეტობის შემთხვევაში, ხელი მოაწეროს ნაშეტი ფართის საკუთრებაში მიღების გარიგებას. დაარეგისტრირის საჯარო რეესტრში. ასევე განახორციელოს მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები და სხვა სავალდებულო გადასახადები.

რწმუნებული უფლებამოსილია მოიპოვოს და წარადგინოს მოთხოვნის ადგილას ნებისმიერი ცნობა, საბუთი, დოკუმენტი. გააწეროს ხარვეზი, დააზუსტოს ფართები.

ხელი მოაწეროს დავალების შესრულებიდან გამომდინარე საჯარო ან კერძო აქტებს.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებების და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად, მინდობილი უფლებამოსილების ფარგლებში.

მინდობილი უფლებამოსილება რწმუნებულს შეუძლია განახორციელოს სამი წლის ვადით.

მინდობილობა ხელმოწერილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე- 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №71- "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 52.5 მუხლის საფუძველზე- 20 ლარი, სულ 22 ლარი

--ვალუა--ვალუძვილი--

--ნათია--გიორგაძე--



სანოტარო

სალომე სალუქვაძე